



დანართი №3

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	აკადემიური წერა ბიომედიცინაში Academic writing in Biomedicine
სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები	ზაალ კოკაია
ლექტორი/ლექტორები	ზაალ კოკაია - პროფესორი. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი. ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი, კლინიკურ მეცნიერებათა კათედრა, კლკინიკგატან 26, 221 84, ლუნდი, შვედეთი ტელ: +464621220276 Email: zaal.kokaia@med.lu.se
სასწავლო კურსის კოდი	კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.
სასწავლო კურსის სტატუსი	ფაკულტეტი: მედიცინა სწავლების საფეხური: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა: კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა; საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია სტატუსი: სავალდებულო
ECTS	კრედიტები: 5 კრედიტი საათების საერთო რაოდენობა: 125 საკონტაქტო საათები: 20 ლექცია: 10 საათი სემინარი: 10 საათი პრაქტიკუმი (ზედამხედველობა): 0 დამოუკიდებელი მუშაობის საათები: 105
ლექტორი (ლექტორები)	სახელი, გვარი: ზაალ კოკაია სტატუსი: მოწვეული პროფესორი სამუშაო ადგილი: ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, კლინიკურ მეცნიერებათა კათედრა ტელეფონი (სურვილის შემთხვევაში): +464621220276



	ელ. ფოსტა: zaal.kokaia@med.lu.se
სასწავლო კურსის მიზნები	სამეცნიერო სტატიების წერის ძირითადი პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება; სამეცნიერო გრანტების წერის ძირითადი პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება. სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება.
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	ინგლისური ენის B2 დონე (ინგლისურენოვანი ჯგუფისათვის) კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს - მიიღოს მონაწილეობა ინგლისურენოვან კურსში და შეასრულოს დავალებები და პრეზენტაციები ინგლისურ ენაზე.
სწავლის შედეგები აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად	კურსის გავლის შემდეგ ყველა სტუდენტი შეძლებს; ცოდნა და გაცნობიერება: აღწეროს თანამედროვე სამეცნიერო მოღვაწეობისთვის საჭირო აკადემიური წერის სხვადასხვა გამოვლინებების (მაგ. სტატია, პოსტერი, პრეზენტაცია, გრანტის აპლიკაცია) შექმნის ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პრაქტიკული ჩვევები. განსაზღვროს სამეცნიერო სტატიის, საგრანტო აპლიკაციის და სიტყვიერი პრეზენტაციის შექმნისთვის საჭირო მასალის არსებობა და წარმოდგენილი მასალის პრეზენტაციის ხარისხი. უნარები: შეადგინოს სამეცნიერო სტატიის დაწერის გეგმა და დაწეროს სტატია დარგის სპეციფიკის და სტატიის ტიპის გათვალისწინებით. შეადგინოს სამეცნიერო გრანტის პროექტის დაწერის გეგმა სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად და დაწეროს პროექტი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. გააკეთოს სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაცია PowerPoint-ის ფორმატში. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა: დამოუკიდებლად წარმართონ სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო წერითი აქტიობა.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	კურსი ითვალისწინებს თეორიული მასალის გადაცემას ინტერაქტიული ლექციების სახით, პრაქტიკულ მეცადინეობებს და დისტანციურ კავშირს ინტერნეტის საშუალებით.
შეფასების სისტემა და კრიტერიუმები	შეფასების სისტემა მოიცავს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:



	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითს შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 31 ქულა. დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50%. შეფასების ფორმები და ქულები: • ინტერაქტიურ ლექციაზე დასწრება, გამოვლენილი ცოდნა და აქტიობა - 10 ქულა • სიტყვიერი მოხსენება და ოპონირება - 20 ქულა • სიტყვიერი მოხსენებისთვის პრეზენტაციის კომპიუტერული ვერსიის შექმნა - 20 ქულა • სამეცნიერო საგრანტო აპლიკაციის მომზადება - 20 ქულა დასკვნითი გამოცდა: • წერილობითი ტესტი და ზეპირსიტყვიერი გასაუბრება - 30 ქულა ჯამურად 100 ქულა დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: ინტერაქტიურ ლექციებზე დასწრება (80%) და პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობა (80%). შეფასების კრიტერიუმები: საგამოცდო ტესტის დაწერა, ლექციის პროცესში ჩართულობა, პრაქტიკული მეცადინეობების დროს აქტიური მონაწილეობა.
სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	ძირითადი სასწავლო მასალა ქართულ ენაზე სტუდენტებს ეძლევათ პდფ ფორმატში კურსის ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია თსუ-ს ბიბლიოთეკებში და ინტერნეტზე.
დამხმარე ლიტერატურა და სხვა	ლექციების სლაიდ პრეზენტაციის პდფ კოპიები (hand-outs).



სასწავლო მასალა	
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/პირობები (არსებობის შემთხვევაში)	სტუდენტებთან კონსულტაციები ინტერნეტ კომუნიკაციის/ელექტრონული ფოსტის საშუალებით



სასწავლო კურსის შინაარსი

კვირის N	ლექციის თემა	ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
1	1. სამეცნიერო კომუნიკაციის ფორმაბი, მათი ანატომია და მნიშვნელობა.	Jean-Luc Lebrun: Scientific Writing: a reader and writer's guide. 2007, World Scientific Publishing Co.
2	2. სამეცნიერო ნაშრომების (სტატია, გრანტის აპლიკაცია) შექმნისთვის ავტორთა ჯგუფის ფორმირება და მათთან ურთიერთობა.	
3	3. სამეცნიერო სტატიების წერის თეორიის, მიზნები და ამოცანები.	
4	4. სამეცნიერო სტატიის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპები.	
5	5. სამეცნიერო სტატიების რეცენზირების პროცესში ცვლილების შეტანა და რეცენზენტთან ურთიერთობის პრინციპები	
6	6. სამეცნიერო გრანტის წერის თეორიის, მიზნების და ამოცანების გაცნობა;	
7	7. სამეცნიერო გრანტის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპების შესწავლა	
8	8. სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპების შესწავლა	
9	9. საპოსტერო პრეზენტაციის ძირითადი კომპონენტები და მათი გადმოცემის პრინციპები	
10	10. სიტყვიერი მოიხსენების პრეზენტაციის ძირითადი პრინციპები და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების წესები.	
	<u>პრაქტიკული მეცადინეობის თემა</u>	Jean-Luc Lebrun: Scientific Writing: a reader and writer's guide. 2007, World Scientific Publishing Co.
1	1. პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, სტატიის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.	
2	2. ლიტერატური ბაზის შექმნა (EndNote) და გამოყენება სამეცნიერო ნაშრომების და აპლიკაციების შექმნისას.	
3	3. ციტირების და H-ინდექსების არსი და პრაქტიკული გამოყენება	



4	4. პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, გრანტის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.	
5	5. პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, პრეზენტაციის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.	
6	6. სამეცნიერო წერისთვის საჭირო ლიტერატურის მოპოვების უნარჩვევების განვითარება.	
7	7. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და მათთვის საჭირო და გადასაჭრელ პრობლემების განხილვა	
8	8. სიტყვირი პრეზენტაციის განხორციელების წესები და შესრულების გზები.	
9	9. ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების კრიტიკული ანალიზი და ოპონირება.	
10	10. ჩატარებული მეცადინეობების შეფასების მიღება სტუდენტებისგან (კითხვარის შევსება და დისკუსია).	
3	დამხმარე ლიტერატურა	3. შესაბამისი ინტერნეტ გვერდები დამოუკიდებელი მუშაობისა და დისკუსიისათვის